დანართი №1

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხზე

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ბექარ კილასონია

წევრები:

ირმა ღარიბაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **402019917**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ველი):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

■ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2026 წლის 4 ივნისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“** პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის შეფასების მიზნით. ვიზიტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა პროგრამის შესაბამისობის დადგენა მოქმედ ავტორიზაციის სტანდარტებთან და იმის შეფასება, რამდენად გააჩნია დაწესებულებას გაზრდილი კონტინგენტის პირობებში პროგრამის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობა.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილიქნა პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, გაიმართა სამუშაო შეხვედრები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და შეფასებაზე პასუხისმგებელ პირებთან. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასებას.

შეფასების პროცესში განხილულ იქნა პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია, სამუშაო დატვირთვა და გაზრდილი კონტინგენტის პირობებში სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის შესაძლებლობა. შეფასდა სასწავლო პროცესის ორგანიზების პრაქტიკა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისა და შესაბამის რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიდგომები. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასწავლო გარემოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსების დათვალიერება. დამატებით შეფასდა პროგრამის ფარგლებში გამოყენებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკული სწავლების გარემო და შესაბამისი პრაქტიკის ობიექტების მზაობა გაზრდილი რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მიღებისა და ხარისხიანი პრაქტიკული სწავლების უზრუნველსაყოფად.

ვიზიტი განხორციელდა საქმიან, პროფესიულ და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოში, რამაც შესაძლებლობა მოგვცა, ობიექტურად, სრულყოფილად და კომპლექსურად შეგვეფასებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის შექმნილი გარემო და მისი შესაბამისობა გაზრდილი კონტინგენტის მიღებისა და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუს შეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	80	66	17	2

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზ

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	**შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები**
პროფესიული განათლების დონე	**მეხუთე**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში**
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	**0712**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი - ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	160 არაინტეგრირებული
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	66 არაინტეგრირებული
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	160 არაინტეგრირებული
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**150**

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის

შესახებ ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

„პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“-ს - განხორციელების მიზნით დაწესებულებას გამოყოფილი აქვს **AC და B** ტიპის სასწავლო გარემოები. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დოკუმენტაციის შესწავლისა და მატერიალური რესურსების ვიზუალური დათვალიერების შედეგად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადასტურდა, რომ პროგრამა სრულყოფილად არის უზრუნველყოფილი შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და სასწავლო რესურსებით. დაწესებულების საკუთრებაშია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური, ტექნიკური და სასწავლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სრულფასოვან განხორციელებას.

AC სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია აუდიტორიები №305 (24 ადგილი), №405 (40 ადგილი), №409 (46 ადგილი) და №509 (46 ადგილი). აღნიშნული სასწავლო სივრცეები აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსებით, ინვენტარით, სასწავლო ინსტრუმენტებით, კომპიუტერული და საპრეზენტაციო ტექნიკით, ასევე ინტერნეტქსელით. B სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია აუდიტორია №301ა (24 ადგილი), რომელიც უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო ინფრასტრუქტურით, მათ შორის სტუდენტებისა და მასწავლებლისათვის განკუთვნილი ავეჯით, დაფით, კომპიუტერული ტექნიკით, საპრეზენტაციო საშუალებებითა და ინტერნეტით. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდური და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მხარდაჭერას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული შეფასების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 160 ადგილით. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მიღება განხორციელდება წელიწადში ორჯერ - გაზაფხულისა და შემოდგომის მიღების ფარგლებში, თითოეულ ეტაპზე 80 პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვით, ხოლო სასწავლო პროცესი ორგანიზებული განხორციელდება ორ ცვლაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების შესახებ ხელშეკრულება, გაფორმებული სს „საქართველოს რკინიგზასთან“. პრაქტიკის ობიექტს ერთდროულად შეუძლია არაუმეტეს 40 პროფესიული სტუდენტის მიღება. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერა პრაქტიკის ობიექტი და შეაფასა პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლებისათვის არსებული გარემო. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პრაქტიკის პერიოდში პროფესიულ სტუდენტებს ზედამხედველობას გაუწევს როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი (სწავლების განმახორციელებელი პირი), ასევე კომპანიის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ამასთანავე, პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (იდს) უზრუნველყოფას სრულად განახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულება. მატერიალური რესურსების, სასწავლო ინფრასტრუქტურისა და პრაქტიკის ობიექტის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა და სასწავლო გარემო სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, ხოლო არსებული რესურსები უზრუნველყოფს მოთხოვნილი რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მიღებისა და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შესაძლებლობას.

2.2.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების მქონე ადამიანური რესურსი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და ხარისხიან განხორციელებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 26 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 14 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და 12 ზოგადი მოდულის მასწავლებელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა და სასწავლო პროცესის ორგანიზების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდელი უზრუნველყოფს მასწავლებელთა დატვირთვის ეფექტიან გადანაწილებას და პროგრამის სრულფასოვან განხორციელებას.

შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, კვალიფიკაციისა და სამუშაო დატვირთვის შესაბამისობას პროგრამის საჭიროებებთან. დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული ადამიანური რესურსი რაოდენობრივად და ხარისხობრივად საკმარისია მოთხოვნილი კონტინგენტის მომსახურებისთვის. ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვა შეესაბამება მოქმედ შრომით კანონმდებლობას, არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს და არ აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ სამუშაო დროის ნორმას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგადაც დადასტურდა მათი ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში, პროფესიული კომპეტენციების შესაბამისობა და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესახებ ინფორმირებულობა.

ასევე, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები, რაც უზრუნველყოფს მათი საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს და პროგრამის განხორციელების უწყვეტობას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული ადამიანური რესურსი სრულად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ხარისხიან, ეფექტიან და მდგრად განხორციელებას.

2.2.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, მათ შორის კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილებისა და სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას, პროფესიულ გამოცდილებასა და იმ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის, პროფესიული სტუდენტების სწავლებისა და შეფასების პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა მნიშვნელოვან ნაწილს გააჩნია პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ხარისხსა და შედეგიანობაზე.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გამართა ინტერვიუები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. გასაუბრებების შედეგად დადასტურდა მათი მაღალი ინფორმირებულობა პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების პრინციპების შესახებ. ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი მოდულების ადაპტირების, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ მოსამზადებელ საქმიანობებში. ამასთან, ინტერვიუებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ შესაბამისი პროფესიული და პედაგოგიური ტრენინგები, რაც ხელს უწყობს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია, გამოცდილება და პროფესიული კომპეტენციები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.

2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ხელმძღვანელის ფუნქციები, პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან მართვასა და განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად დანიშნულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პროფესიული გამოცდილების მქონე პირი, რომელიც ამავდროულად ჩართულია პროგრამის განხორციელების პროცესშიც. პირადი საქმის, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს დარგის მოქმედ და კვალიფიციურ სპეციალისტს, რომელსაც გააჩნია პროგრამის მართვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.

ინტერვიუს შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად იყო ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში. იგი კარგად იცნობს პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, შეფასების სისტემას და პროგრამის განხორციელების ორგანიზაციულ ასპექტებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან კოორდინაციასა და ხარისხიან განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და პროგრამის განვითარებაში ჩართულობა სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელების მოთხოვნებს.

2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელებისთვის აუცილებელი საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვასა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის, ბიბლიოთეკის დათვალიერებისა და შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტების, ისე პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად აუცილებელი ინფრასტრუქტურით, მათ შორის სამკითხველო სივრცით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული ტექნიკითა და ბეჭდვა/სკანირების საშუალებებით, რაც პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას ეფექტიანად გამოიყენონ როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი, ელექტრონული რესურსები და სხვა დამხმარე სასწავლო მასალები შინაარსობრივად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას.

ბიბლიოთეკართან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა და მათი აქტიური გამოყენება სასწავლო პროცესში. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ხარისხიანად განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ორგანიზაციული შესაძლებლობები.

2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას გააჩნია მზაობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებისთვის უზრუნველყოს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო მომსახურება და შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. დოკუმენტაციის შესწავლისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცედურები. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია მოდულის მოდიფიკაციისა და/ან აკომოდაციის შესაძლებლობა, რაც იძლევა კონკრეტული პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების განსაზღვრისა და განხორციელების შესაძლებლობას. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოსა და საგანმანათლებლო რესურსების ადაპტირებას, რათა ხელი შეეწყოს სსსმ პროფესიული სტუდენტების სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში შექმნილია შესაბამისი ორგანიზაციული და პროცედურული საფუძვლები სსსმ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისთვის, რაც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას პროფესიულ განათლებაზე და ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს ფორმირებას.

2.2.1.6. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი ფინანსური დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების ნაწილს და ასახავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება, რაც ქმნის პროგრამის ფინანსური მდგრადობის საფუძველს. ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ხარჯები, მათ შორის ადამიანური რესურსების ანაზღაურება, მატერიალურ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნიკური რესურსების შენარჩუნება და განვითარება, ადმინისტრაციული ხარჯები, სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა პროგრამული საჭიროებები. წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისათვის, ხოლო არსებული ფინანსური დაგეგმვის მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურ ფუნქციონირებას როგორც მიმდინარე, ისე გაზრდილი კონტინგენტის პირობებში.

შეფასების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების ფინანსური შესაძლებლობები და პროგრამისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ მდგრადი და უწყვეტი განხორციელების აუცილებელ ფინანსურ საფუძველს.

2.2.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის ჩამონათვალი;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი;
- აუდიტორიების განაწილების სქემა და სასწავლო გარემოს აღწერა;
- საწარმოო პრაქტიკის განხორციელების შესახებ ხელშეკრულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის მარეგულირებელი დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუ;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- ბიბლიოთეკართან ინტერვიუ;
- პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან ინტერვიუ;
- მატერიალური რესურსებისა და პრაქტიკის ობიექტის ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი

30.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: